

**ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“
2021 წლის
SWOT ანალიზი**

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
<ul style="list-style-type: none"> • გამოცდილი, მიზანმიმართული და მაღაკვალიფიციური ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი; • რეაბილიტირებული შენობა და გამართული ინფრასტრუქტურა; • კოლეჯის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; • მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ; • ეფექტური პიარკამპანია; • ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა; • კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი; • საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; • სატრანსპორტო მომსახურება; • დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები; 	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არქონა; • სტუდენტების არასაკმარისი მოტივაცია; • კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა; • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

<u>შესაძლებლობები</u>	<u>საფრთხეები</u>
<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა; • აკადემიური პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლების და ტექნოლოგიების მეთოდების მიმართულებით; • სტუდენტური კონფერენციების მოწყობა; • პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; • ტექნიკურ პერსონალზე მზარდი მოთხოვნები ტურიზმისა და აგრარული მიმართულების სფეროებში; • დონორი ორგანიზაციების ინტერესი და ურთიერთთანამშრომლობის განვითარება; • მეტი დამსაქმებლის/პარტნიორის მოძიება; • მაღალი დონის სპორტული/კულტურული/სოციალური საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება (შემუშავება) და განხორციელება; • სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვაში დამსაქმებლის აქტიური ჩართულობა; • გარე სახელოსნოების აშენება/აღჭურვა 	<ul style="list-style-type: none"> • განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია; • საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი; • პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია; • სტუდენტთა ზოგადი განათლების დაბალი დონე; • ქვეყანაში/მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია

სიტუაციური ანალიზი

1. ორგანიზაციის ძლიერი მხარეები:

გამოცდილი, მიზანმიმართული და მაღაკვალიფიციური ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი

კოლეჯის დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დიდი ნაწილი არის უმაღლესი განათლებით. მათ უმეტესობას გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც კოლეჯს აძლევს ეფექტური ადმინისტრირების საშუალებას.

გარდა ამისა, კოლეჯის 53 პედაგოგიდან, უმრავლესობას აქვს მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ნაწილი მათგანი ფლობს დოქტორის სამეცნიერო ან ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. ამათგან, უმეტესობას აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი და პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული (დარგობრივი ცოდნა და უნარები) გამოცდილება. კოლეჯის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

რეაბილიტირებული შენობა და გამართული ინფრასტრუქტურა

2020 წელს განხორციელებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, კოლეჯს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ძირითადი სასწავლო კორპუსი და გამართული ინფრასტრუქტურა, ასევე, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები და სასწავლო სახლოსნოები.

კოლეჯის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა

კოლეჯს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია კახეთის რეგიონში, მისადგომად მოსახერხებელია თელავის, ახმეტის, ყვარლის და გურჯაანის რაიონის მოსახლეობისათვის. კოლეჯის სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნული რაიონების წარმომადგენელია.

სწრაფვა მუდმივი განვითარებისთვის

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ადმინისტრაციის, პედაგოგების, სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ტრენინგ-კურსებზე, ვორქშოპებზე, სემინარებზე მათი სისტემატური დასწრება/მონაწილეობით.

ეფექტური პიარ კამპანია

საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის, კოლეჯი აქტიურად არის ჩართული როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების,

სამინისტროს, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და პიარ კამპანიებში; აწყოფს ღია კარის დღეებს და შეხვედრებს დამსაქმებლებთან, სკოლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან; აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (ვებგვერდი, ფეისბუქი) მოსახლეობის ინფორმირებისათვის.

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა ხელს უწყობს განათლების სისტემის განვითარებაში. კერძოდ, ახდენს მის ინფორმირებას და იწვევს მის წარმომადგენლებს სხვადასხვა ღონისძიებებში, ფესტივალებსა თუ ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად; სთავაზობს საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების ობიექტებს; ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაახლოვებაში.

კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი

კოლეჯის ადმინისტრაცია ზრუნავს სასწავლო პროცესის წარმატებულ და კარგად ორგანიზებულ გარემოზე. პედაგოგებს და სტუდენტებს უქმნის მათზე მორგებულ და გონივრულ სალექციო განრიგს, რაც დადებითად აისახება სტუდენტების ლექციებზე დასწრებასა და აკადემიურ მოსწრებაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის:

1. გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის თვითმმართველობა და პროფესიული კოლეჯი „KARL ARNOLD SCHULLE“;
2. ლიეტუვის რესპუბლიკის ქალაქ იონავას პროფესიული სკოლა;
3. ლიეტუვის რესპუბლიკის ქალაქ კედაინის პროფესიული მომზადების ცენტრი;
4. ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ტალსის თვითმმართველობა;
5. ესტონეთის ქალაქ იდა ვირუმას პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრი;
6. HEKS/EPER-ის (შვეიცარიის რესპუბლიკის)სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის პროექტი „MOLI კახეთში“;
7. GIZ - გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება;
8. UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა;
9. მაგნისტაუს ტურიზმის კოლეჯი (ქ. აქტაუ, ყაზახეთი)

სატრანსპორტო მომსახურება

კოლეჯს გააჩნია საკუთარი მიკრო ავტობუსი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე დასწრებას და სასწავლო ექსკურსიების მოწყობას.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები (60-ზე მეტი პარტნიორი კერძო და სახელმწიფო ორგანიზაცია) შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და გააუმჯობესოს სერვისი. გარდა ამისა, კოლეჯი მდებარეობს კახეთის რეგიონში, სადაც განვითარებულია მეღვინეობის და ტურიზმის სფეროები, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კვალიფიციური კადრი და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას.

2. სუსტი მხარეები:

სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არ ქონა

კოლეჯის სტუდენტების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ რაიონების/სოფლების მაცხოვრებლები, რომელთა უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას საკუთარი სახსრებით გადაიხადონ ბინის ქირა ან/და დაფარონ ყოველდღიური მგზავრობის ხარჯები. შესაბამისად, რთულდება სწავლა/სწავლებაზე მათი ხელმისაწვდომობა.

სტუდენტების არასაკმარისი მოტივაცია

კოლეჯის მხრიდან ჩატარებული პიარ კამპანიებისა და გაწეული კონსულტაციების მიუხედავად, აპლიკანტთა დიდ ნაწილს არ აქვს გააზრებული, თუ რა სპეციალობაზე სურს სწავლა, რაც შემდგომში აისახება მათ მოტივაციაზე. აგრეთვე, მათ მოტივაციაზე გავლენას ახდენს სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არქონა.

კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა

კოლეჯის კურსდამთავრებულთა უმეტესობა სხვადასხვა რაიონის მაცხოვრებელია, შესაბამისად, მათთან ურთიერთობის ოპტიმალური საშუალება სატელეფონო კავშირია. გამომდინარე იქიდან, რომ კურსდამთავრებულები ხშირად იცვლიან ტელეფონის ნომრებს, რთულდება მათთან კომუნიკაცია.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

ამ ეტაპისათვის, დასაქმებულია 2021 წლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 40%. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით: კურსდამთავრებულთა ნაწილი კვლავ განაგრძობს სწავლას კოლეჯში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან უმაღლეს სასწავლებელში. გარდა ამისა, რამდენიმე მათგანი არ იმყოფება საქართველოში, ან ვერ საქმდება ოჯახური მდგომარეობის გამო.

3. შესაძლებლობები:

საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

უცხოელ პარტნიორებთან და კოლეჯებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები იძლევა კოლეჯის სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

აკადემიური პერსონალის გადაზიდვა თანამედროვე სწავლების და ტექნოლოგიების მეთოდის მიმართულებით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვა ორგანიზაციები მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ზოგადად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების დონის გაუმჯობესებაზე. ამისათვის კოლეჯის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გადამზადდეს თანამედროვე სწავლებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.

სტუდენტური კონფერენციების მოწყობა

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, სტუდენტთა მოტივაციის და ინტერესის ამაღლების მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაცია საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაერთონ ან/და დაესწრონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებს.

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და გატარებული ღონისძიებების შედეგად, იზრდება პროფესიული განათლებისადმი ინტერესი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის შეტანა და საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრა, ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოვალეობიდან გათავისუფლება. ეს ყოველივე დადებითად აისახება პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რიცხვზე.

ტექნიკურ პერსონალზე მზარდი მოთხოვნები ტურიზმისა და აგრარული მიმართულების სფეროებში

ტურიზმის და აგრარული მიმართულების სფეროები ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სექტორებს წარმოადგენს. აღნიშნულ სფეროებში ყოველწლიურად იზრდება სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ისევე როგორც იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი.

დონორი ორგანიზაციების ინტერესი და ურთიერთთანამშრომლობის განვითარება

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი საერთაშორისო დონორთა მხრიდან. კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, გეგმავს საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებით, კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა.

მეტი დამსაქმებლის/პარტნიორის მოძიება

დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართიულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის იმიჯის განმტკიცებას.

მაღალი დონის სპორტული/კულტურული/სოციალური საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება

კოლეჯის ადმინისტრაცია, პერსონალი და სტუდენტები გამოხატავენ მზაობას და ინტერესს მაღალი დონის სპორტული/კულტურული/სოციალური საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება (შემუშავება) და განხორციელება

კოლეჯის რეაბილიტირებული ძირითადი სასწავლო კორპუსი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადამიანური და მატერიალური რესურსი იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამატების და განხორციელების შესაძლებლობას.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვაში დამსაქმებლის აქტიური ჩართულობა

პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანიების მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ კოლეჯთან, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდისათვის და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვისათვის.

გარე სახელოსნოების აშენება/აღჭურვა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯს აქვს სამშენებლო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების შესაბამისი სახელოსნოებისა და ლაბორატორიების აშენებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვის შესაძლებლობა.

4. საფრთხეები:

განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის პარალელურად იზრდება კოლეჯების და საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, შესაბამისად, სწავლის მსურველებს ეძლევათ არჩევანის ფართო სფერო, რაც ზრდის კონკურენციას და ამცირებს კონკრეტულ კოლეჯში სწავლის მსურველთა რიცხვს.

საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი

საქართველოში არსებული საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი, კერძოდ კი, კახეთის რეგიონის მოსახლეობის მდგომარეობა, უარყოფითად აისახება კოლეჯის სტუდენტთა კონტიგენტზე. მათი ნაწილი იძულებულია უარი თქვას სწავლაზე სამსახურის გამო, ან მისდევს საოჯახო მეურნეობას და შესაბამისად, არ რჩება დრო ლექციებზე დასწრებისათვის. ამასთანავე, სტუდენტთა ნაწილს, განსაკუთრებით თელავიდან მოშორებული სოფლების/რაიონების მაცხოვრებლებს, უჭირთ კოლეჯში სიარულისათვის საჭირო ტრანსპორტის ხარჯების დაფარვა.

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების და დამსაქმებლებისათვის, ასევე მათთვის, ვინც შესაძლებელია, შემდგომში ჩაერთოს განათლების ამ სეგმენტში, არასაკმარისი მოტივაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების სწორ განვითარებას.

სტუდენტთა ზოგადი განათლების დაბალი დონე

კოლეჯის სტუდენტთა დიდ ნაწილს აქვს საბაზო ან ზოგადი განათლება. მიუხედავად ამისა, მათი ზოგადი განათლების დონე, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ დაბალია. რაც მნიშვნელოვნად ართულებს პროგრამებით გათვალისწინებული მასალის ათვისებას.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია

2020-2021 წელს ქვეყანაში განვითარებული პანდემიური სიტუაციის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც: სასწავლო პროცესის (განსაკუთრებით, პრაქტიკული კომპონენტის) განხორციელება, სტუდენტთა დასაქმება, შეხვედრების, ღონისძიებების, კონკურსების და სხვა აქტივობების მოწყობა.